



თბილისის
ადამიანის
უფლებათა
სახლი



2019 წლის საქმიანობის მიმოხილვა



ჩვენ ვიცავთ და ვაძლიერებთ უფლებადამცველებს!

ჩვენი სტრატეგიული მიზნები:



უფლებადამცველების დაცვა და გაძლიერება



უფლებადაცვითი ორგანიზაციების გაძლიერება




ადამიანის უფლებებზე ცნობიერების ამაღლება

2019 წელი გამოწვევებით სავსე იყო უფლებადამცველებისა და აქტივისტებისთვის მთელს მსოფლიოში. მაშინ როდესაც უფლებადამცველები ხმას იმაღლებენ სხვისი უფლებებისთვის, დემოკრატიის განვითარებისთვის და მშვიდობის მშენებლობისთვის, ძალიან ხშირად ისინი სახელმწიფო დევნისა და შევიწროვების მსხვერპლი არიან. ასეთი ტენდენცია სამწუხაროდ ისევ გრძელდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის აზერბაიჯანში, თურქეთში, რუსეთში, ბელარუსში და უკრაინაში. ამგვარი სიტუაცია ხშირად აიძულებს უფლებადამცველებს და მათ ოჯახის წევრებს დატოვონ თავიანთი სამშობლო, საცხოვრებელი ადგილი და სხვა ქვეყანაში დევნილებად იქცნენ. ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან დევნილობაში მყოფ ან რეაბილიტაციის საჭიროების მქონე აქტივისტებს ჩვენ ვთავაზობთ ზრუნვას და უსაფრთხო თავშესაფარს საქართველოში. ჩვენ იმედი გავქვს, რომ საქართველო შეინარჩუნებს უსაფრთხო თავშესაფარის ქვეყნის სტატუსს რეგიონში და ჩვენ მომავალშიც მოგვეცემა საშუალება ვიზრუნოთ სხვა ქვეყნებიდან საქართველოში ჩამოსულ უფლებადამცველებზე, რომლებსაც ძალიან ხშირად კომპლექსური მხარდაჭერა სჭირდებათ.

გარდა ამისა, სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ 2019 წელს ჩვენ დავინახეთ ქართველი უფლებადამცველების მხარდაჭერის საჭიროებაც და სწორედ ამიტომ გავააქტიურეთ ამ მიმართულებით ჩვენი საქმიანობა. ჩვენ დავინახეთ ქართველი უფლებადამცველების წინააღმდეგ მიმართული ცილისმწამებლური კამპანიები, უფლებადაცვითი ორგანიზაციების საქმიანობის დისკრედიტაცია სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლების, მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან. ჩვენ დავინახეთ ულტრა-ნაციონალური და ჰომოფობიურად განწყობილი ჯგუფების მხრიდან ძალადობის შემთხვევები, მათ შორის ფიზიკური თავდასხმის შემთხვევები უფლებადამცველებზე. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებულ ზეწოლისა და საფრთხის წინაშე ლგბტ აქტივისტები და უფლებადამცველები აღმოჩნდნენ.

მოხარული ვართ, რომ 2019 წელს შევძელით და დავეხმარეთ 23 უფლებადამცველს და მათ ოჯახის წევრებს აზერბაიჯანიდან, ბელარუსიდან და რუსეთიდან, ადვოკატობა გაუწიეთ და ფსიქოლოგიური/გადაწვის საწინააღმდეგო და იურიდიული დახმარება შევთავაზეთ 34 ქართველ უფლებადამცველს. ვფიქრობთ, რომ ჩვენს წევრ ორგანიზაციებთან ერთად შევძელით დროულად აღმოგვეჩინა იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარება, შეგვეთავაზებინა ფინანსური მხარდაჭერა და თავშესაფარი უფლებადამცველებისთვის, რომლებმაც გადალახეს დაბრკოლებები, გაძლიერდნენ და რაც ყველაზე მთავარია, შეძლეს გაეგრძელებინათ ადამიანის უფლებების დაცვა.

უფლებადამცველების საერთაშორისო დღე
INTERNATIONAL HUMAN RIGHTS DEFENDERS DAY



უფლებადამცველების მხარდაჭერასთან ერთად ვფიქრობთ არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების შესახებ, მათ შორის უფლებადამცველების საქმიანობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ახალგაზრდა აქტივისტების აღმოჩენა და მათთვის ტრენინგებისა და საგანმანათლებლო აქტივობების შეთავაზება. აღნიშნული მიმართულებით 2019 წელს პრიორიტეტულად ვიმუშავეთ ახალგაზრდა ქალ უფლებადამცველებთან. ვფიქრობთ, რომ ქალი უფლებადამცველები განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებენ და ხშირად ორმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლი არიან პირველ რიგში როგორც ქალები, გენდერული უთანასწორობის პირობებში და მეორე რიგში, როგორც უფლებადამცველები.

2019 წელს კრეატიული კამპანიის წარმოების, სოციალური მარკეტინგის, პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით უნარების განვითარების ტრენინგები შევთავაზეთ 60-მდე ქართველ და აზერბაიჯანელ ქალ უფლებადამცველს. ტრენინგების დასრულების შემდეგ მონაწილეებისთვის შეთავაზებულ იქნა და გაიცა 7 მცირე გრანტი – რამაც საშუალება მისცა ახალგაზრდა აქტივისტებს პირველი

ნაბიჯები გადაედგა საკუთარი პროექტისა და კამპანიის წარმოებისთვის. გვხიბარია, რომ აღნიშნულმა აქტივობამ განავითარა და დააფუძნა ახალი ინიციატივები, ჩვენი ტრენინგების წარმატებულმა მონაწილეებმა დააფუძნეს თავიანთი ორგანიზაციები და აგრძელებენ უფლებადაცვით საქმიანობას. ახალგაზრდა ქალი უფლებადამცველებისთვის ასევე გავეცით 8 სამოგზაურო გრანტი, რამაც საშუალება მისცა მათ დასწრებოდნენ საერთაშორისო კონფერენციებს, სემინარებს, შეეძინათ ახალი კონტაქტები, საერთაშორისო პარტნიორები და გამოეყენებინათ მიღებული გამოცდილება საქართველოში საქმიანობის გასაგრძელებლად. გარდა ამისა, გავიცანით და აღმოვაჩინეთ ქალები, რომლებიც იბრძვიან ცვლილებებისთვის და სოციალური პრობლემების მოგვარებისთვის საკუთარ თემში და მათი საქმიანობა ნაკლებად იყო ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. ჩვენ ვიმუშავეთ ქალებთან საქართველოს რეგიონებიდან, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებთან – შევთავაზეთ მათ უნარების განვითარების ტრენინგები, მცირე გრანტები და დავეხმარეთ ხმა მიეწვდინათ ფართო საზოგადოებისთვის წარმოებული მედია კამპანიის საშუალებით.

2020 წელს ჩვენ ვაგრძელებთ უფლებადამცველების მხარდაჭერასა და გაძლიერებას. მიუხედავად კოვიდ-19 თან დაკავშირებით მსოფლიოში არსებული კრიზისისა, უფლებადამცველები აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას და საგანგებო სიტუაციაშიც ბრუნავენ სხვის უფლებებზე. 2020 წელს ჩვენ ვიმუშავეთ უფრო აქტიურად, რათა უფლებადამცველებმა შეძლონ თავიანთი საქმიანობის გაგრძელება. ჩვენ გვაქვს მიზანი, რომ ვიცხოვროთ ისეთ სამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც აღიარებულია უფლებადამცველების და უფლებადაცვითი ორგანიზაციების მნიშვნელოვანი როლი ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიის მშენებლობის და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის და სადაც უფლებადამცველებისთვის უზრუნველყოფილია ეფექტური დაცვის მექანიზმები.

ქართველი უფლებადამცველების მხარდაჭერა

2019 წელს თბილისის ადამიანის უფლებათა სახლმა არსებული საჭიროების გათვალისწინებით აქტიურად დაიწყო ქართველი უფლებადამცველების მხარდაჭერა. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული მხარდაჭერა:

- ✓ პროფესიული გადამწვის საინანაოდებო ტრენინგები
- ✓ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია
- ✓ იურიდიული დახმარება
- ✓ ადვოკატირება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე



2019 წელს ადამიანის უფლებათა სახლმა მხარდაჭერა გაუწია 34 ქართველ უფლებადამცველს

გამომხატურება უფლებადამცველების მისამართით გამოთქმულ ცილისმწამებლურ განცხადებებზე

„განსაკუთრებით შემაშფოთებელია, ნაცვლად ჯანსაღი და ინკლუზიური საჯარო დიალოგისა, ხელისუფლების წარმომადგენლები უფლებადაცვითი ორგანიზაციების კრიტიკას მათზე სიტყვიერი თავდასხმითა და ცილისმწამებლური კამპანიით პასუხობენ.“



განცხადება გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოში 20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით

„ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს, უზრუნველყოს, რომ არ მოხდეს სამართალდამცავების მიერ ხალხმრავალი მანიფესტაციის ამგვარი კონტროლი და რომ ძალის ნებისმიერი გამოყენება მოხდეს გამონაკლის შემთხვევაში, აუცილებლობისას და ადამიანის უფლებების ნორმების შესაბამისად. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს, აწარმოოს სრულყოფილი გამოძიება უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით და დაიცვას საქართველოში მცხოვრებთა გაერთიანების და შეკრების თავისუფლება.“



2019 წლის 8 ნოემბერს უფლებადამცველებმა ანა სუბელიანმა და თამაზ სოგაშვილმა ფილმის „და ჩვენ ვიცეკვით“ ჩვენებაზე ლგბტქ თემის წევრები მიაცილეს, რა დროსაც ისინი ჰომოფობიური ჯგუფებისგან მიზანმიმართული აგრესიის, მუქარის და ფიზიკური თავდასხმის მსხვერპლნი გახდნენ. ანა სუბელიანი მოგვიანებით სამედიცინო კუნძოში იქნა გადაყვანილი, მას თვალის არეში ძიძმა საგნის მოხვედრის გამო შვიდი ნაპერი დაადეს. ანა სუბელიანმა თავდასხმელს დისკრიმინაციული მოტივით ძალადობისთვის 1.5 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. თამაზ სოგაშვილის საქმის განხილვა კი კვლავ გრძელდება სასამართლოში. უფლებადამცველების სამართლებრივ ინტერესებს თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის წევრი ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იცავს.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლმა ფინანსური მხარდაჭერა გაუწია თამარა მეარაყიშვილს და-ფაქტო სასამართლოში იურიდიული წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად



„ჩვენ, ადამიანის უფლებათა სახლების ქსელის 62 წევრი, ღრმა შეშფოთებას გამოვთქვამთ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ცნობილი უფლებადამცველის, თამარა მეარაყიშვილის მიმართ განხორციელებულ სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით. ... ის, როგორც უფლებადამცველი, აუცილებელია სარგებლობდეს უფლებადამცველისთვის შესაბამისი გარანტიებით.“

განცხადება, ლგბტქ უფლებადამცველების მშვიდობიანი შეკრების უფლების დასაცავად



„ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, პატივი სცეს დემოკრატიულ ღირებულებებს და ადამიანის უფლებებს და უზრუნველყოს „თბილისი პრაიდის“ კვირეულისა და მის ფარგლებში დაგეგმილი „ღირსების მარშის“ ყველა მონაწილის დაცვა და მათი უსაფრთხოება.“

უცხოელი უფლებადამცველების მხარდაჭერა

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი საქართველოში დევნილობაში მყოფი აგრესიული უფლებადამცველებისა და აქტივისტების მხარდაჭერას 2014 წლიდან ახორციელებს

2019 წლიდან

საქართველოში მყოფი
უცხოელი

უფლებადამცველების
მხარდაჭერი პროგრამა
გაფართოვდა და დღეისათვის
აგრესიულთან ერთად
შემდეგ ქვეყნებს მოიცავს:



2019 წელს ადამიანის უფლებათა სახლმა
მხარდაჭერა გაუწია 23 უცხოელ უფლებადამცველს

პროგრამის ფარგლებში
შეთავაზებული მხარდაჭერა:

თავშესაფრით უზრუნველყოფა

ფინანსური მხარდაჭერა

სამედიცინო/ფსიქოლოგიური დახმარება

იურიდიული დახმარება

ინტეგრაციის ხელშეწყობი აქტივობები

სასამართლო პროცესების მონიტორინგი აგრესიულთან

ადვოკატირება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე





უცხოელი უფლებადამცველების მხარდაჭერა

აფგან მუხთარლი, აზერბაიჯანელი ჟურნალისტი და აქტივისტი, 2017 წლის 29 მაისს საქართველოში გაუჩინარდა და მოგვიანებით აზერბაიჯანის ციხეში აღმოჩნდა დაკავებული, სადაც მას 6 წლიანი პატიმრობა მიესაჯა საზღვრის უკანონო კვეთის, კონტრაბანდის და პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით. აფგანის ჩვენების მიხედვით, ის ქართული პოლიციის ფორმაში ჩაცმულმა პირებმა გაიტაცეს და ძალის გამოყენებით გადაიყვანეს აზერბაიჯანში. საქართველოს საგამოძიებო ორგანოებში მუხთარლის სავარაუდო გატაცების ფაქტზე გამოძიება დღემდე უშედეგოდ მიმდინარეობს. 2020 წლის 17 მარტს აქტივისტი საერთაშორისო აქტორების ჩართულობის შედეგად პატიმრობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლდა.



აფგან მუხთარლის ინტერესებს საქართველოში და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ წევრი ორგანიზაცია „უფლებები საქართველო“ იცავს.



დაშვინ ალაღარლი, აზერბაიჯანიდან დევნილი აქტივისტი, 2014 წლიდან თავის შვილთან, ორხან ალაღარლიანთან, ერთად საქართველოს აფარებდა თავს. ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე საბოლოო უარის, გაჭიანურებული პროცედურების და ამოწურული შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების შემდეგ, ალაღარლის საქართველოდან აზერბაიჯანში ექსტრადიციის საფრთხე შეექმნა. თბილისის სახლისა და მისი წევრი ორგანიზაციის „ადამიანის უფლებათა ცენტრი“-ს ჩართულობით და ადვოკატრებით დაშვინი და მისი შვილი საქართველოდან გაძევებას არ დაექვემდებარნენ. დაშვინ ალაღარლიმ დატოვა საქართველო და სხვა ქვეყანაში მიიღო თავშესაფარი. 2019 წელს დაშვინი კვლავ დააკავეს აზერბაიჯანის მოთხოვნის შესაბამისად პოლონეთის (გდანსკი) აეროპორტში საზღვრის კვეთის დროს. ამჟამად დაშვინი სასამართლო პროცესს ელოდება პოლონეთში.

ქალი უფლებადამცველები და აქტივისტები

ქალი უფლებადამცველები ხშირად განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებენ და ორმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლნი არიან. 2019-ში ქალი უფლებადამცველების გაძლიერებისთვის სხვადასხვა ტიპის აქტივობები განხორციელდა.



“ლიდერობის აკადემია”

2019 წელს ლიდერობის აკადემიაში 60-მდე ქართველმა და აზერბაიჯანელმა აქტივისტმა მიიღო მონაწილეობა. ლიდერობის აკადემიის ძირითდი თემატიკა კრეატიული კამპანიის წარმოებას და სოციალური მარკეტინგს ეხებოდა. ბიზნეს სექტორში მომუშავე პროფესიონალების მიერ გაზიარებული გამოცდილება განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა უფლებადაცვითი სფეროს წარმომადგენლებისთვის.



ლიდერობის აკადემია, 2019 წლის მარტი.



ლიდერობის აკადემია, 2019 წლის ოქტომბერი.

იხილეთ ვრცლად 2019 წელს ჩატარებული ორი ლიდერობის აკადემიის შესახებ: აქ და აქ



მცირე ბრანტები

ლიდერობის აკადემიის მონაწილეებისთვის შეთავაზებულ იქნა და გაიცა **7 მცირე გრანტი** – რამაც საშუალება მისცა ახალგაზრდა აქტივისტებს პირველი ნაბიჯები გადაედგა საკუთარი პროექტისა და კამპანიის წარმოებისთვის.

ნინო ჯღარკავა

სოციალური მუშაკი, უფლებადამცველი:

„ლიდერობის აკადემიაში მონაწილეობა ჩემთვის იყო კარი ახალი შესაძლებლობებით სავსე სამყაროში, სადაც გავიცანი ჩემი მომავალი კოლეგები და ერთად დავაფუძნეთ ორგანიზაცია „ფრეია“ – ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაცია“

სამოგზაურო ბრანტები

ახალგაზრდა ქალი უფლებადამცველებისთვის გაიცა **8 სამოგზაურო გრანტი**, რამაც საშუალება მისცა მათ დასწრებოდნენ საერთაშორისო კონფერენციებს, სემინარებს, შეეძინათ ახალი კონტაქტები, საერთაშორისო პარტნიორები და გამოეყენებინათ მიღებული გამოცდილება საქართველოში საქმიანობის გასაგრძელებლად.

მარიამ კვარაცხელია

ლგბტკი აქტივისტი, თბილისის პრაიდის დამფუძნებელი

“სამოგზაურო გრანტის დახმარებით დავესწარი ევროპის ლესბოსელ ქალთა კონფერენციას. აღნიშნული გამოცდილება ჩემთვის იყო სრულიად უნიკალური. სამშობლოში დავბრუნდი გაძლიერებული და მოტივირებული, შევიძინე უამრავი ახალი კონტაქტი, ჩემი აქტივიზმი გასცდა ეროვნულ დონეს და გავაქტიურდი რეგიონალურ, ევროპულ მოძრაობაში”

2019 წელს განხორციელდა მედია კამპანია ქალებისთვის, რომლებიც იბრძვიან ცვლილებებისთვის და სოციალური პრობლემების მოგვარებისთვის საკუთარ თემში და მათი საქმიანობა ნაკლებად იყო ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. მედია კამპანიაში ჩართული იყვნენ ქალები საქართველოს რეგიონებიდან, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.



“ეს პროექტი დამეხმარა აღმომეჩინა საკუთარი თავი, ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, როგორც შშმ ქალისთვის, რომ მეგრძნო ძალა და მომცემოდა მოტივაცია მომავალი მიზნების განხორციელებისთვის.”

ნინო ქათამაძე
ფილოლოგი

ნინო ქათამაძე, ფოტო-კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული.
ფოტოგრაფი: მარიამ ტურაშვილი.

იხილეთ ვრცლად : ფოტო-კონკურსი – „უცნობი პორტრეტები – ქალები და აქტივიზმი“
ნახეთ ვიდეო: ქალები, რომლებიც იბრძვიან ცვლილებებისთვის
ნახეთ ვიდეო: შენც შეგიძლია შეცვალო
იხილეთ სტატიები: ქალები და აქტივიზმი

უფლებადამცველების დღე 9 დეკემბერი

მსოფლიოში უფლებადამცველების დღე აღინიშნება იმისთვის, რომ გაიზარდოს ცნობადობა უფლებადამცველების საქმიანობის შესახებ და მათი საქმიანობა სათანადოდ იქნეს აღიარებული.



2019 წლის 9 დეკემბერს უფლებადამცველების დღე თბილისის სახლის ორგანიზებით საქართველოში უკვე მეორედ აღინიშნა. ღონისძიებამ უმასპინძლა 150-მდე აქტივისტს, უფლებადამცველს, დიპლომატიური კორპუსის და საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

ვრცლად ღონისძიების შესახებ იხილეთ აქ

2019 წლის საჯარო ღონისძიებები

თბილისის ფორუმი ადამიანის უფლებებისთვის

ფორუმის კონცეფცია თბილისის სახლის ინიციატივითა შეიქმნა 2018 წელს და ყოველწლიური სახე მიიღო. ღონისძიების მიზანია რეგიონებში ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების და აქტივისტების შეკრება, რითაც შეიქმნება ინფორმაციის და კონტაქტების გასაზიარებელი პლატფორმა, ასევე საფუძველი ეყრება მომავალ თანამშრომლობას.



2019 წლის 16 ივლისს ფორუმმა 150-ზე მეტ ინდივიდუალურ აქტივისტს, უფლებადაცვითი ორგანიზაციის თუ საერთაშორისო და დიპლომატიური მისიების წარმომადგენელს უმასპინძლა, როგორც თბილისიდან, ისე საქართველოს სხვა რეგიონებიდან. ამასთან, საქართველოს ხუთი რეგიონიდან ინდივიდუალურ სტენდებთან წარმოდგენილმა ათმა ორგანიზაციამ თავიანთი ბეჭდური და საინფორმაციო მასალა წარმოადგინა დაინტერესებული პირებისთვის.


ვრცლად ღონისძიების შესახებ იხილეთ აქ

2019 წელს თბილისის სახლის ოფისმა უმასპინძლა:


-  16 პრესკონფერენციას
-  20 ტრენინგს/ვორკშოპს
-  50 პრეზენტაციას, შეხვედრას, მრგვალ მაგიდას



დონორი ორგანიზაციები და გრანტები:



დონორების
წილი
საგრანტო
შემოსავალში



თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის შესახებ

თბილისის სახლი არის წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე ხუთ არასამთავრობო ორგანიზაციას. თბილისის სახლი დაფუძნდა „ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის“ მხარდაჭერით, 2010 წელს. „ადამიანის უფლებათა სახლის ფონდი“ იცავს, აძლიერებს და მხარს უჭერს უფლებადამცველებს და მათ ორგანიზაციებს. ამჟამად დამოუკიდებელი უფლებადამცველი ორგანიზაციები ერთობლივად ახორციელებენ საქმიანობას 11 ქვეყანაში მოქმედ 16 ადამიანის უფლებათა სახლში. თბილისის სახლი შედგება შემდეგი ხუთი წევრი ორგანიზაციისგან: „ადამიანის უფლებათა ცენტრი“, „უფლებები საქართველო“, „მედიის ინსტიტუტი“, „საფარი“ და „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“. თანამშრომლობისა და ერთობლივი საქმიანობის გაძლიერებით, ადამიანის უფლებების უკეთ დაცვის და ადვოკატირების მიზნით, თბილისის სახლი წევრი ორგანიზაციების სახელით იცავს და აძლიერებს უფლებადამცველებს და მათ ორგანიზაციებს, ასევე ახორციელებს ადამიანის უფლებების შესახებ საგანმანათლებლო საქმიანობას.

ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციები:



ჩვენი წევრი ორგანიზაციები:

